

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 14

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

12 ივნისი 2018 წელი
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა
ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ოლეგი მიქელთაძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ვარდოსანიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა: თამარ შენგელია, რამაზ არველაძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა
განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები)
მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს: /გიორგი ივანიაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტის ბალანსზე
რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების
ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს: /გელა ჩიკვაძე/

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ბატონმა გიორგი ივანიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების მოვლა პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცება და განმარტა, რომ საკრებულოს მიღებული და დამტკიცებული ქონდა აღნიშნული დადგენილება, მაგრამ მოვიდა ახალი შემუშავებული სახით წესი ააიპ საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაციის რეკომენდაციების საფუძველზე. იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებამ დაამუშავა ახალი პროექტი, რომელიც გააცნო კომისიას.

კომისიის წევრებმა მოიწონა დადგენილების პროექტი და მოითხოვეს ერთი მუხლის ჩამატება.

კერძოდ:

ცხოველების მიტოვება ასევე გადმოგდება ქუჩაში აიკრძალოს ჯარიმის სახით. წარმოდგენილ საკითხზე სხვა მოსაზრება არ დაფიქსირებულა.

გადაწყვეტეს:

დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესი.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N2/

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა სხდომის თავმჯდომარემ ბატონმა გელამ, კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხს სჭირდება შესაბამისი დამუშავება, მიზანშეწონილი იქნება ბიუროს სხდომაზე შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევლენ იურისტები, ფინანსისტები და მოწვეულ იქნებიან მერიის სამსახურების წარმომადგენლები და ეს ჯგუფი შეიმუშავებს შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტს.

გადაწყვეტეს:

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი შემუშავდეს შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე საკითხი მზად არის ბიუროს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N3/

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე
საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის სხდომის თავმჯდომარე